ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საინფორმაციო გამოცემა №9 (43) სექტემბერი, 2021 წელი

ვულოცავთ ღირსეულ ლეჩხუმელებს

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ უგრეხელიძემ** სოფელ ღვირიშში, საქართველოს და ლეჩხუმისადმი გაწეული ღვაწლისათვის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საზოგადოებრივი აზრის გათვალიწინებით, ლეჩხუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საზოგადოება „ლეჩხუმი-2018“-ის თავმჯდომარეს **რობერტ გოლეთიანს** და ღვაწლმოსილ პედაგოგს, კოლორიტ ლეჩხუმელს, ღვირიშის საჯარო სკოლის დირექტორს **ტრისტან გუგავას**.

ვულოცავთ ღირსეულ ლეჩხუმელებს ამ ჯილდოს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ!

ბაღის აღსაზრდელებს ნობათი ოჯახებში გადაეცათ

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის და სკოლამდელი და სკოლის გარეშე სამსახურის (ხელმძღვანელი **მარინა ბურჯალიანი**) ორგანიზებით ცაგერის მუნიციპალიტეტის 15 საბავშვო ბაღის 241 აღსაზრდელს პროდუქტის ნობათი ოჯახებში გადაეცემათ. თითოეულ ბავშვზე 62 ლარიანი პაკეტი მომზადდა, რომელშიც შაქარი, კარაქი, ზეთი, კარტოფილი,ლობიო, მარილი, ორცხობილა და ბურღულეული შედის.

პანდემიის გამო, მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღები არ ფუნქცირებს.

„დღეს დავიწყეთ პროდუქტის დარიგება, რომლითაც ბაღებში ბავშვების საკვები უნდა დამზადებულიყო. მათ კუთვნილ პროდუქტს, პანდემიის გამო, მშობლების ხელით ოჯახებში მიიღებენ ჩვენი პატარები. სექტემბრის თვეში და ივნისის მეორე ნახევარში ბაღეებს არ უმუშავიათ. ასეთ პერიოდში, ვცდილობთ, ჩვენი პატარები არ დაზარალდნენ. ვისურვებდი, მალე აღდგეს სასწავლო-საალმზრდელო პროცესში და საბავშვო ბაღებშივე მოვემსახუროთ ჩვენს საყვარელ მომავალ თაობას“ – აღნიშნა სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელმა **მარინა ბურჯალიანმა**.

ეკავსიკვლეს აფხაზეთი!

27 სექტემბერი – ჩვენი ტკივილი და სევდა

27 სექტემბერი – ყველაზე ტრაგიკული დღე საქართველოს უახლოეს ისტორიაში, თითოეული ქართველის მოურჩენელი ტკივილი და სევდა. ამ დღეს დაეცა სოხუმი, ამ დღეს დავკარგეთ აფხაზეთი – საქართველოს სხეულის ნაწილი.

დრო ვერას უხერხებს იარებს. ჩვენ გვტკივა ამ ომს შეწირული თანამემამულეები, ასევე – მოძმე აფხაზებიც, მით უფრო, რომ სრულიად საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მშვენივრად უწყის, რომ ეს იყო ისტორიულად მოძმე ქართველი და აფხაზი ერებისთვის თავს მოხვეული ომი, მესამე ძალის მიერ ორგანიზებული სისხლისღვრა.

27 სექტემბერს სრულიად საქართველოს მასშტაბით დაშვებული იქნა სახელმწიფო დროშები. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რიგითმა ადამიანებმა პატივი მიაგეს ომში დაღუპულ მებრძოლებს, ომიდან შინ დაბრუნებულებს კი ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვეს. სხვათაშორის, ჩვენი პატარა ლეჩხუმიდანაც არა ერთი გულანთებული პატრიოტი მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, თავდადებით იბრძოდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და თავისუფლებისთვის.

და მაინც: იმედი დიდია. აფხაზეთის დაკარგვა დროებითი მოვლენაა და საქართველო, რომელიც განუხრელად ადგას ევროპული განვითარებისა და დემოკრატიის გზას, ყველაფერს გააკეთებს საკუთარი ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის, რამეთუ ვერ გააყალბებს ისტორიას ქვეყნად ვერავინ.

იმედია მიმდინარე სასწავლო წელი მშვიდობიანად წარიმართება

სასწავლო წლის განახლებასთან დაკავშირებით კითხვით მივმართეთ ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს **ირაკლი სილაგაძეს**.

– ბატონო, ირაკლი! გასული სასწავლო წელი პანდემიურ რეჟიმში გამოვიარეთ. შესაბამისად, დისტანციური სწავლების გამოცდილებაც შევიძინეთ და აკადემიური შედეგიც დაიდო. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, როგორ შეხვდით ახალ სასწავლო წელს, როგორ წარიმართა სწავლების პროცესი, რა გათვლები და მოლოდინები გაქვთ?

– პირველ რიგში ვისარგებლებ შემთხვევით და სასკოლო საზოგადოებას ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. თითოეულ მათგანს ვუსურვებ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებას. ასევე, ყველა პედაგოგს ვულოცავ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, რომელიც ყოველწლიურად 5 ოქტომბერს აღინიშნება. თითოეულ მათგანს წარმატებებს ვუსურვებ, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში.

როგორც მოგეხსენებათ, პანდემიური რეჟიმიდან გამომდინარე, უკვე, მეორე წელია განსხვავებულ ფორმატში გვიწევს სასწავლო პროცესის წარმართვა. კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე, გასული 2020-21 სასწავლო წელი ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რასაც, რათქმაუნდა, თავისი სირთულეებიც ახლდა. ვცდილობდით, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად შეუფერხებლად წარგვემართა, როგორც დისტანციურად, ისე დასწრებით რეჟიმში. მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სასწავლო გარემო; დაცული იყო სანიტარული ნორმები, მკაცრად კონტროლდებოდა კოვიდრეგულაციები. მიუხედავდ ამისა, ამა თუ იმ სკოლაში პერიოდულად ვლინდებოდა ინფექციის შემთხვევები. შესაბამისად, ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლა ან კლასი დროებით გადაგვყავდა დისტანციურ რეჟიმზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებაში იყო მოლოდინი, რომ ასეთ რეჟიმში მუშაობა მოსწავლეთა შედეგებზე მკვეთრ გავლენას იქონიებდა. მაგრამ, საბედნიეროდ, საგანმანათლებლო პროცესის კონტროლისა და სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის ხარჯზე ნეგატიური მომენტები მინიმუმადე იქნა დაყვანილი. მეტიც, პანდემიამდე პერიოდის მსგავსად, წელსაც საკმაოდ მაღალი შედეგები დაფიქსირდა ჩვენი მუნიციპალიტეტის აბიტურიენტებს შორის (ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით): 77 საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულიდან 53 აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგების მიხედვით, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. აქედან, 50 პროცენტიანი სახელმწიფო გრანტით დაფინანსება მიიღო 7-მა აბიტურიენტმა, 70 პროცენტიანი 5-მა, ხოლო 2 აბიტურიენტი 100 პროცენტიანი დაფინანსებით ჩაირიცხა. ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროცესი, რამაც გარკვეულწილად დადებითი შედეგი მოგვცა სასერტიფიკაციო გამოცდებზე: პრაქტიკოს მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა შეძლო სტატუსის ამაღლება და გახდა უფროსი მასწავლებელი.

ასევე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მაქსიმალურად აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სასკოლო ინფრასტრუქტურული პროექტები: მიმადინარე წლის გაზაფხულზე დასრულდა სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს. ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ ცაგერისა და სოფელ საირმის საჯარო სკოლებს. ასევე, საშუალო და მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა არაერთმა საჯარო სკოლამ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოფელ ორბელის საჯარო სკოლისთვის მალე დაიწყება ახალი თანამედროვე სტანდარტების სასკოლო კომპლექსის მშენებლობა. ასევე, მიმდინარე წელსვე დაიწყება ზედა ოყურეშში მდებარე დაყწებითი საფეხურის ახალი სასკოლო კორპუსის მშენებლობა, რომელიც ასევე, თანამედროვე სტანდარტების იქნება.

რაც შეეხება მიმდინარე 2021-22 სასწავლო წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვირუსის პრევენციის კუთხით მაქსიმალური მობილიზაციაა, სკოლების პერსონალის დიდი ნაწილი აცრილია, რამაც მოგვცა შესაძლებლობა 4 ოქტომბრიდან ცაგერის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში დასწრებით რეჟიმში დაგვეწყო სასწავლო პროცესი. შესაბამისად, ყველა საჭირო მიმართულებით ამოქმედდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

ასევე, მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სასკოლო წიგნებითა და რვეულებით. ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები მაქსიმალურად იცავენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეგულაციებს. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საჯარო სკოლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარებით, პირბადეებით, თერმოსკრინინგის აპარატებითა და დეზობარიერებით. ვირუსის პრევენციისთვის საჭირო რესურსების მარაგი სკოლებისთვის მთელი სასწავლო წლისათვის არის საკმარისი. შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ მიმდინარე სასწავლო წელი მშვიდობიანად წარიმართება და პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებები დასასრულისკენ წავა.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია

შეხვედრა ეკომიგრანტებთან

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა **ბესარიონ სიმონიშვილმა** და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეკომიგრანტებთან შეხვედრა გამართეს.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს განსახლებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

სააგენტო ეკომიგრანტ ოჯახებს უსაფრთხო გარემოში საცხოვრებლით უზრუნველყოფს. ამასთან, მცირე გრანტების საშუალებით ხელს უწყობს მათ დასაქმებას.



საკრებულოში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა (1.09.2021წელი). სხდომა გახსნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი გუგავამ** და დღის წესრიგი გააცნო დეპუტატებს.

მიღებულ იქნა **განკარგულებები**:

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (მომხსენებელი **ალუდა თუთისანი**)

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მესამე კვარტალში მიმდინარე პროექტების შესახებ (მომხსენებელი **მამუკა ხაბულიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით – 89.02.24.123; საერთო ფართობით – 113.00 კვ.მ. მისამართი: ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ცაგერი – ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ (მომხსენებელი **რევაზ ახვლედიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების – 1. სატრანსპორტო საშუალება ავტობუსი PAZ მოდელი 32054 2007 წლის გამოშვება სახ. N LIC-208 და 2. ქონების-სატრანსპორტო საშუალება ავტობუსი PAZ მოდელი 32054 2007 წლის გამოშვება სახ. N PP 511 MM – ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ (მომხსენებელი **რევაზ ახვლედიანი**)

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2021 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი **გოჩა მეგრელი**).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ საკითხთა საბჭოს სხდომაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა სოციალურ საკითხთა განმხილველი საბჭოს სხდომა /თავმჯდომარე – მერის მოადგილე **მიხეილ მეშველიანი**/.

საბჭოს წევრების მსჯელობის შედეგად, კანონის შესაბამისად, დაკმაყოფილდნენ ბენეფიციარები, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ ოპერაციის,ძვირადღირებული გამოკვლევების ჩატარების, ონკოლოგიური და სხვადასხვა მძიმე დაავადებების, სოციალურად დაუცველობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სულ დაკმაყოფილდა 67 ბენეფიციარის განცხადება, გასაცემი თანხა შეადგენს 20 615 ლარს.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ადამიანებზე, რომელთაც გადატანილი აქვთ მძიმე ოპერაციები, აგრეთვე, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარებზე.



* * *

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუბში სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა სასოფლო გზის რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებულია ტენდერი.

პროექტის სატენდერო ღირებულებაა 100 000 ლარი.

* * *

სოფელ ტვიშში ცენტრალური და შიდა სასოფლო გზის სარეაბიტაციო სამუშაოები იწყება.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 163 800 ლარი.

პროექტი გარდამავალია და 2022 წლის ივლისში უნდა დასრულდეს!

* * *

გამოცხადდა ტენდერი სოფელ ორბელში 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის პროექტირებასა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე.

სატენდერო თანხა შეადგენს 2 097 934 ლარს.

პროექტირების და მშენებლობის სამუშაოები 15 თვეში უნდა დასრულდეს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით ორბელს ექნება ახალი, თანამედროვე სტანდარტების, კომფორტული სკოლა, რაც გააუმჯობესებს სწავლა-აღზრდის პროცესს და ხელს შეუწყობს ჩვენი მომავალი თაობის კიდევ უფრო განვითარებას.

* * *



სოფელ ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადდება ტენდერი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა – 361 253 ლარი.

* * *

სოფლებში ლაილაშსა და თაბორში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ცხადდება ტენდერი.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ხორციელდება.

სატენდერო ღირებულებაა 6 593 920 ლარი.

პროექტი ითვალისწინებს გზის 8 კილომეტრიან მონაკვეთზე არმირებული ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობას.

სამუშაოების შესრულების ხარისხსა და ვადებზე დაწესდება მკაცრი კონტროლი, რათა ლეჩხუმის ამ ისტორიული სოფლების მოსახლეობამ საბოლოოდ კეთილმოწყობილი და კომფორტული გზით ისარგებლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

(1930-2017),

პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

***

მათრახივით გადუვიჭირე ცისფერ
ქურანს ელვა,
უკან მომდევს ყვავილების სისხლიანი წყევლა,
ცხენის ძუით გამოვისკვენ პაწაწინა წყენა,
გულზე ჩუმად დავიკიდე როგორც
აღმაფრენა,
წყვილი ცრემლი ვარსკვლავისა დაგიტოვე
მძევლად,
დანარჩენი გულისპირზე დაგიმღვრიე
მძევლად,
არ გეგონოს, გადმომაგდო გაფრენილმა
ცხენმა, –
ხერხემალში გამიარა სიყვარულმა შენმა.

შობა ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა
კურთხეულ ხარ, მარიამ!

ღვთისმშობლისადმი ქართველი ხალხის განუზომელი სიყვარულისა და თაყვანისცემის დასტურია ღვთისმშობლის საოდიდებელი ლექსი „ანბანთქება“. მასში ცოდვილი ადამიანი შესთხოვს წმინდა მარიამს, არ მისცეს მისი სული ბილწ ეშმაკს, შეავედროს მაცხოვარს და არ განიკითხოს შეცოდებათა გამო, წყალობის კარი გაუღოს მის ამქვეყნიურ ციდვებს და ზეცის ხილვა აღირსოს:

„აღვსილხარ, ყოვლად წმინდაო,
ყოვლის მადლითა უფლისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, სადგომი სულის წმინდისა,
გაბრიელის ხარებითა მოგევლინა ძალი ღვთის,
დედა ხარ, იესო ქრისტესი, ქალ-ზეციური მამისა.
ემანუილ შენგან იშვა, მიზეზი ჩვენის დახსნისა.
ვარდი ხარ მეტათ ლამაზი, მოსაწონისი უფლისა,
ზიხარ მუდამ შენ ძესთანა – მეოხად ცოდვილებისა.
ესრეთი ვარ მე, ცოდვილი, მუდამ შენის წყალობითა,
თვალი შენი ჩვენზედ იყოს, არ გვეშინოდეს მტერისა,
მისი ძუძუ დაილოცა, რომ აწოვა ქრისტეს პირსა!
კურთხეული ხარ მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა,
ლამპარი ხარ ნათლოვანი და ვარსკვლავი ცისკარისა“.



მეორან მამახრაშვილი:

• ქართულმა ხასიათმა, ქართულმა გენოტიპმა დაკარგა თავისი მოხაზულობა, ეს დაიკარგა უკვე რუსეთთან უთიერთობაში მე-19 საუკუნეში, დაიკარგა ჩვენი ეკლესიის და რელიგიის დონეზე. იმდენი ჩვენ არ გვავნო მაჰმადიანობამ, ან მუსულმანურმა სამყარომ, არაბებმა ან მონღოლებმა, ან სპარსელებმა, ან თურქებმა, რომლებიც ყოველთვის გვმტრობდნენ, განსაკუთრებით ემტერებოდნენ ჩვენს რწმენას – რელიგიას, რამდენადაც ჩვენ გვავნო „ნათესაობრივმა“ კავშირმა რუსულ კულტურასთან, რუსულ ეკლესიასთან, რომელიც გვეჩვენებოდა მონათესავე.

• ადამიანი იწყება ღირსებიდან და მას მხოლოდ საკუთარი ღირსების გავლით შეუძლია, ჭეშმარიტად გააცნობიეროს თავი ამა თუ იმ ერის შვილად! ქართველობა არ არის ბიოლოგიური მოცემულობა – ეს არის ნება, იყო ქართველი, ნება კი რაინდული ღირსების ფენომენია და მე თუ არა მაქვს ის, რამდენიც უნდა მოინდომოს ერმა თუ ბერმა, ვერც კაცი ვიქნები და ვერც ქართველი!

• ნუ გაუსწრებთ მოვლენებს წინ, ნუ იფიქრებთ პოლიტიკური კლიშეებით, ვისი მხრიდანაც უნდა იყვნენ ისინი, დაიწყეთ საკუთარი თავით და საქმით, რადგან ჯერ ისედაც გვაკლია პროფესიონალური ცოდნა და გამოცდილება, მოქალაქეობრივი შეგნება და თუ ამის გარეშე მაინც ჯიუტად გადავეშვებით პოლიტიკის აღელვებულ ზღვაში, ძალიან მალე გავირიყებით ნაპირზე ისევ ისეთივე მშიერ-ტიტველნი და უმეცარნი.

დიმიტრი უოლია

ძვირფასო მხარეო

აყვავდნენ მთები და
ველებიც აყვავდნენ,
ჭალებიც აყვავდნენ, მდელოც.
შენ როდის აყვავდები,
შენ როდის იფეთქებ
ვარდებად, მხარეო ჩემო.
იღვიძებს ველი და
იღვიძებს ტყიანი,
ხალხიც იღვიძებს-დღეობს,
შენ როდის გაიღვიძებ,
თვალს როდის გაახელ,
ძვირფასო, მხარეო ჩემო,
მიმოიხედე – ხალხი
ბობოქრობს,
ხმაურობს, დიდრთა ჩქერობს,
შენ რაღას ელოდები,
შენ რაღად ყოვდები,
ძვირფასო, მხარეო ჩემო...

გალაკტიონ ტაბიძე

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორიავ,
მომენატრა მზე სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორიავ.
მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,
მომაგებე მშობლიური გემი,
მომაგებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიკვან.



სკოლა ჯერ სახლიც არის და სამსახურიც

იტყვიან ასე რომ ეპოქა დიდი გათავდა
წავიდა ორი ბუმბერაზი ორი კორიფე
და სხვა რაღა ვთქვა „საქართველო
დაპატარავდა.“

ტრისტან გუგავა – ნაღდი ლეჩხუმელი, ლეჩხუმის სახე, ლეჩხუმისთვის ნაღვაწი და დამაშვრალი. ცხოვრების ღირსეული გზა გამოიარა ბატონმა ტრისტანამ: ათეული წლებია ღვირიშის საჯაო სკოლის დირექტორია, მიღებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით; ორჯერ იყო არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. ახლახან მიენიჭა საპატიო ლეჩხუმელის წოდება. უფრო მეტს მასზე ჩვენს ინტერვიუში გიამბობთ, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ბატონო, ტრისტან! მოგესალმებით და მოგილოცავთ ახალ სასწავლო წელს. მოდით დავიწყოთ იმით, რომ თქვენ, სრულიად ყმაწვილკაცმა, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, პედაგოგის დიპლომით მშობლიურ ღვირიშის სკოლას მოაშურეთ. რა დამოკიდებულება იყო ეს, რა ვალდებულება, რა გააზრება, მით უფრო, წარმატებულ, პერსპექტიულ ახალგაზრდას ქალაქშიც მშვენივრად შეგეძლოთ აგეწყოთ კარიერა და პირადი ცხოვრება.

ვუერთდები თქვენს მილოცვას. ვინაიდან ახალი სასწავლო წლის დაწყება უნდა აღვიქვათ როგორც ახალი წლის ტოლფასი დღესასწაული, ძველად ხომ ახალი წელი სექტემბერში იწყებოდა. ამჟამადაც ხომ საეკლესიო ახალი წელი 14 სექტემბრიდან იწყება.

რაც შეეხება სოფელში სამუშაოდ და საცხოვრებლად დარჩენას, თუ ბანალური პასუხი არ გამომივა, მე ძალიან მიყვარდა და მიყვარს ჩემი სოფელი და დიდი სურვილი მქონდა, რომ მემუშავა ჩემს მშობლიურ სკოლაში, ქალაქში ნამდვილად მქონდა პერსპექტივა, მაგრამ სოფლის სიყვარულმა დამძლია.

მალევე, 24 წლისას, 1975 წელს, ამავე სკოლის დირექტორობა განდეს. თუ არ ვცდებით, იმხანად რაიონში ყველაზე ახალგაზრდა დირექტორი იყავით. მას აქეთ აგერ უკვე 46 წელია ამ სკოლის უცვლელი დირექტორი ხართ. მოდით, მარტივად გკითხავთ: რა არის თქვენთვის სკოლა?

დიახ, ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი არა მარტო რაიონში არამედ რესპუბლიკაში. მაშინდელმა განათლების მინისტრის მოადგილემ კარლო მაჭარაშვილმა მითხრა, რომ შენი ასაკის დირექტორს პირველად ვამტკიცებთო.

სკოლა ჩემთვის ყველაფერია. სკოლა ჩემი სახლია. სკოლა ჩემი ჰობიც არის და სამსახურიც.

ახლა თუ შეიძლება ცოტა რამ სკოლის ისტორიიდან. და მთავარი: რა ვითარებაა დღეს ამ სასწავლო დაწესებულებაში, რა განწყობა, როგორია დემოგრაფიული სურათი, აკადემიური მაჩვენებლები და ა.შ.

სოფელ ღვირიშში პირველად 1903 წელს დაირეკა სკოლის ზარი. 30-წლების დასაწყისში ღვირიშში უკვე ფუნქციონირებდა 7-წლიანი ხოლო 1968 წლიდან საშუალო სკოლა.

როცა სკოლის დირექტორად დავიწყე მუშაობა (1973წ) მაშინ სკოლაში 200-მდე ბავშვი სწავლობდა. ყველა ჩემი მასწავლებელი ადგილზე დამხვდა და ყველამ კარგად მიმიღო. მაინც არ იყო ადვილი იქ მუშაობის დაწყება... მე ძალიან ამაყი ვარ ჩემი ნამოწაფრების გამო. ბევრი სახელოვანი მოსწავლე აღიზარდა ღვირიშის საშუალო სკოლაში. პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, პოეტები და ა.შ. ცხოვრებაში თითქმის ყველამ ივარგა. ასე რომ წარმატებულ მოსწავლეთა და ნამოწაფართა დეფიციტი ნამდვილად არ გაგვაჩნია. რაც შეეხება დემოგრაფიულ სურათს, ძალზედ დამაფიქრებელი და დამაღონებელია. მოსწავლეთა კონტიგენტი კატასტროფულად შემცირდა (20 ბავშვზე ნაკლები).

რაკი დემოგრაფიას შევეხეთ, უნდა ვთქვათ, რომ დღეს ცაგერის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც ზოგადად მთიან რეგიონებში, კატასტროფულად შემცირდა მოსწავლეთა კონტიგენტი. არა ერთი სკოლა დაიხურა, ზოგიც დახურვის პირასაა. სოფლის ერთადერთი იმედი კი სკოლაა, ცოცხალი ორგანიზმი და სოფლის გადამრჩენი, რას იტყვით, სად ხედავთ გამოსავალს.

დემოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრისით ის რაც მთიანი რეგიონისთვის არის დამახასიათებელი იგივე მდგომარეობაა ღვირიშში.

გამოსავალი არის სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა, ფერმერული მეურნეობის და ტურიზმის განვითარება.

დღეს მძიმე გამოწვევა პანდემიაა. ვერაგმა ვირუსმა ყველაზე მეტად განათლების სფერო დააზიანა. რეალობას, ასე თუ ისე, ვერგებით და სწავლება დისტანციურ რეჟიმზე გადაეწყო. თუმც, ჩვენის აზრით, ეს მიახლოებულიც არ არის ცოცხალ გაკვეთილთან, საკლასო ოთახში სწავლებასთან. ამ თვალსაზრისით რა ხდება თქვენთან.

გასულ სასწავლო წელში (თვე ზუსტად არ მახსოვს) ბლიც-ინტერვიუ მქონდა ეტალონთან, სადაც ვთქვი: პანდემიამ დაგვანახა, რომ მზად უნდა ვიყოთ ონლაინ სწავლებისთვის, მაგრამ ონლაინ სწავლება იძულებითი ფორმაა. გაკვეთილი არის იქ, სადაც არის საკლასო ოთახი, მოსწავლე და მასწავლებელი. როცა სხვა გამოსავალი არ არის მაშინ უნდა გადაეწყო ონლაინ სწავლებაზე და რა თქმა უნდა ასე ვაკეთებთ ჩვენც.

აქვე საინტერესოა, რამდენად მაღალია სკოლის პედაგოგიური გუნდის მოქალაქეობრივი პასუხიმგებლობა, აიცრა ყველამ?

მოკლედ გიპასუხებთ:აცრილია სკოლის მუშაკთა აბსოლუტური უმრავლესობა.

მასწავლებელი – ეს სახელმწიფო აუცილებლობაა, ფუნდამენტური განათლების წყარო სწორედ მასწავლებელია. რას იტყოდით ლეჩხუმის პედაგოგიურ საზოგადოებაზე, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობასა და პასუხისმგებლობაზე თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების პირობებში.

ლეჩხუმის პედაგოგიური საზოგადოება ყოველთვის წარმატებული იყო, კომუნისტების დროს ყოველწლიურად ღებულობდა ჩვენი რაიონის განათლების სისტემა როგორც რესპუბლიკურ ასვე საკავშირო გარდამავალ დროშებს. ტრადიციებს არც დღევანდელი თაობა არ ღალატობს. მე თითქმის ლეჩხუმის ყველა სკოლის მასწავლებლებს ვიცნობ, არ შევცდები თუ ვიტყვი რომ ისინი მაღალი დონის პროფესიონალები და წარმატებულნი არიან. რაც შეეხება ჩემს კოლეგა სკოლის დირექტორებს ისინი ნაღდი ინტელექტუალები და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები არიან. ასე რომ ლეჩხუმის პედაგოგიური კორპუსი ძლიერი იყო წარსულში, ძლიერია დღეს და დარწმუნებული ვარ, ძლიერი იქნება მომავალშიც.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ცოტა რამ ამ ხელმძღვანელი რგოლის საქმიანობაზე, დახმარებასა და ხელშეწყობაზე, ზოგადად-მენეჯმენტზე.

რესურსცენტრი, სამინისტროს წამოადგენს რაიონში (მუნიციპალიტეტში), უნდა ითქვას რომ ეს რგოლი ბრწყინვალედ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ყოველთვის მზად არიან იქ დასაქმებული მუშაკები სკოლების დასახმარებლად. იგრძნობა საქმეში ღრმა ჩახედულება, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. გვერდს ვერ ავუვლი ერთ გარემოებას. ამჟამინდელ რესურსცენტრის უფროსს ირაკლი სილაგაძეს დახვდა რესურსცენტრის ყოფილი უფროსი მაკა ბენდელიანი, ამირან ახვლედიანი და ნინო მუშკუდიანი. ძალზედ მოსაწონია მათი ურთიერთდამოკიდებულება, კომუნიკაბელურობა, თანადგომა. მე პირადად თუ მიკერძოებაში არ ჩამეთვლება ყოველთვის მიხარია რესურსცენტრში ვიზიტი.

კიდევ ერთი კითხვა: თქვენი პოზიცია ლეჩხუმში მიმდინარე პროცესებზე, აღმშენებლობაზე, და საერთოდ როგორ გესახებათ ლეჩხუმის ხვალინდელი დღე.

კომუნისტების დროს სკოლებში ხშირად მოდიოდა ასეთი თემა მშობლიური ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე „მე უკვე ვხედავ დღეს ხვალინდელსა, დღევანდელ დღეზე ნათელს და მზიანს,“ ბუნებით ოპტიმისტი ვარ (თუმცა კომუნიზმის არასდროს მჯეროდა) და მჯერა მომავლის, როცა ქვეყანა ძლიერი და აყვავებული იქნება, რა თქმა უნდა ეს ლეჩხუმზეც აისახება ბუნებრივია. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია „ოაზისის“ შექმნა.

***

ახლა, თქვენის ნებართვით, ცოტა პირადზეც ვისაუბროთ. თავად როგორ გარემოში გაიზარდეთ როგორი მოსწავლე გერქვათ?

ეს თემა თუ გავშალე ერთი და ორი თაბახის ფურცელი არ მეყოფა, ამიტომ რაც შეიძლება მოკლედ შემოვიფარგლები, **დედა – შურა ირემაძე** ექთანი იყო. წითელ დიპლომზე დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი, ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვეღარ წავიდა სასწავლებლად და ექთნად დაიწყო მუშაობა სოფელ ღვირიშში. **მამა – გივი გუგავა** ბუღალტერი. ხუთებზე სწავლობდა სკოლაში მაგრამ ბაბუაჩემი ომში რომ წავიდა მამა იძულებული შეიქნა გამოსულიყო მე-9 კლასიდან და მიეხედა დედის, ბებიის და ხუთი უმცროსი დედმამიშვილისათვის. ოჯახში სამი ბავშვი ვიზრდებოდით და სამივემ მივიღეთ უმაღლესი განათლება. ძმა ინჟინერი, და პედაგოგი. სკოლებში (8-კლასი ღვირიშში დავამთავრეთ, საშუალო ცხუნკუშერში), მასწავლიდნენ ისეთი პედაგოგები უმაღლეს სასწავლებლებში რომ შეეძლოთ ლექციების წაკითხვა, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მასწავლიდნენ ნამდვილი კორიფეები ლევან სანიკიძე, დავით ჯანელიძე, ლევან სვანაძე, პეტრე ვაჭრაძე, გივი სანიკიძე. რითაც ვამაყობ ძალიან, როცა დირექტორად დავიწყე მუშაობა მაშინ რაიონში მოღვაწეობდნენ სამსონ კოპალიანი, პლატონ ცვარიანი, ჯიბილო მიქაძე, რუბენ ბაქრაძე, ოთარ ხეცურიანი, დიომიდე ხვადაგიანი და სხვები. განათლების განყოფილების მესვეურები იყვნენ კარლო გოდოლაძე, ლევან ჩიქოვანი, დავით კოპალიანი, გურამ ხმელიძე, გულივერ ბრეგვაძე. განათლების განყოფილებაში მუშაობდნენ შესანიშნავი პიროვნებები: შალვა ცვარიანი, დავით შკუბულიანი, გელა ხვადაგიანი, ჯემალ ცვარიანი, ნოდარ კოპალიანი, ჯიმშერ და შიო ახვლედიანები, ნორა გასვიანი, კარლო ასლანიკაშვილი, ლარისა მუმლაძე, ჟორა კენჭაძე, მზია სვანიძე, ნუნუ ჩაკვეტაძე, ლელა ლომთაძე. ამ ხალხთან ვიზრდებოდი და ვმეგობრობდი. გვერდს ვერ ავუვლი რაიონის იმ ხელმძღვანელ მუშაკებს რომლებიც მე ბავშვობიდან მახსოვს. აი ისინი:კარლო სილაგაძე, კოსტა ღურჭუმალიძე, მიხეილ გვიშიანი, ალექსანდრე ონიანი, რამაზ მხეიძე, დავით სვანიძე, გალაქტიონ საღინაძე, ვლადიმერ ხეცურიანი, კარლო კვირკაშვილი. ისინი ჩემთვის ზნეობის მაგალითები იყვნენ. ვფიქრობ რომ ამ ძვირფას ადამიანებთან კუნძი რომ დაგედო კაცი გამოვიდოდა და მე რა ღმერთი უნდა გამწყრომოდა.

მოგვიყევით ოჯახზე, ოჯახურ ჰარმონიაზე. სად საქმიანობენ მეუღლე, შვილი.

მეუღლე ლეილა ფრუიძე – მუშაობს ღვირიშის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.“

შვილი – მირანდა გუგავა მუშაობს ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ჰყავს **მეუღლე – მამუკა თოთაძე**, ორი ვაჟი **საბა** – სწავლობს მე-9 კლასში და **ლუკა** – მე-7 კლასში, ორივე ათოსანია, სწავლობენ ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში. ოჯახი როგორც ყველა ქართველი კაცისათვის ჩემთვისაც ყველაფერია.

ამ გადმოსახედიდან განვლილი ცხოვრებიდან რამეს ნანობთ, რომელსაც შეცვლიდი?

ვნანობ რომ არ მიმუშავია დისერტაციის დაცვაზე და ან თუნდაც ერთი წიგნის დაწერასა და გამოცემაზე.

როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?

ზედმეტად მიმნდობი, ლმობიერი, საკმაოდ რბილი ხასიათი, პატიების უნარი, არც უპრინციპობა, მაგრამ არც ერთხელ ნათქვამის ბოლომდე დაჟინება. შემიძლია უკან დახევა, ადამიანების უზომო სიყვარული. სუფრის და სტუმარ-მასპინძლობის მოჭარბებულად მოყვარული.

სასიამოვნოა რომ ლექსებს გიძღვნიან, თავადაც მშვენივრად წერთ, ქუთაისის მწერალთა კავშირმა თქვენი ლექსებისა და ნახატების ბუკლეტი გამოსცა, რა არის ეს? ჰოდა, შეიძლება, ვაჩუქოთ მკითხველს თუნდაც ერთი სტროფი, თუნდაც ექსპრომტი.

ლექსების მოძღვნით მართლაც განებივრებული ვარ და ეს წარმოუდგენელი განცდა და გრძნობაა, რისთვისაც განუზომელ მადლობას ვუხდი ავტორებს ენდი ნემსწვერიძეს, ლალი ფრუიძეს, მანანა სვანიძეს, ნუნუ ღურჭუმალიძეს, ავთანდილ ყურაშვილს, ზაალ ებანოიძეს, მზია ჩხეტიანს. ვაპირებ ამ ლექსებს თავი მოვუყარო. ჩემი ლექსები არც გამომიქვეყნებია და არც მაგიდასთან მითქვამს არასაოდეს. ერთხელ ავთო ყურაშვილმა მითხრა ლექსებს დაგიბეჭდავო, მე ვუთხარი შენნაირ ლექსებს რომ ვწერდე დაგაბეჭდინებდი მეთქი. ახლა კი თქვენს თხოვნას ვერ გავანბილებ. ეს ექსპრომტი ყველა კაი ქალს ეკუთვნის, ვინაიდან არ შეიძლება მისი ადრესატი მარტო ერთი ქალი იყოს. დადგება ის დღე, როდესაც ეტყვი შენს შვილებსა და შვილიშვილებს, ვიყავი ერთ დროს გოგო ისეთი, რომ პოეტები მიძღვნიდნენ ლექსებს. და კიდევ ერთი: როცა ანზორ ერქომაიშვილი და თემურ წიკლაური გარდაიცვალნენ ერთი მინაწერი გავაკეთე:

„როცა ასეთი ვაჟკაცები აღსრულდებიან
იტყვიან ასე რომ ეპოქა დიდი გათავდა
წავიდა ორი ბუმბერაზი ორი კორიფე
და სხვა რაღა ვთქვა „საქართველო
დაპატარავდა.“

ლეჩხუმის გამორჩეულ თამადად გაღიარებენ. სუფრა, რომელსაც ტრისტან გუგავა უძღვებოდა, გაჯერებულია ინტელექტით, ქართული სულით, ტრადიციებით. სალხინო სუფრა ხომ ნამდვილი პერფორმანსია. რა არის თქვენთვის თამადობის ფენომენი?

ჩემს სოფელში და სანათესაოში 20-24 წლის რომ გავხდი იმის შემდეგ ხშირად მიწევდა თამადობა. ღვინის სმა შემეძლო მაგრამ ზომანონისთვის არასდროს გადამიჭარბებია. შემდეგ ჩემი როგორც თამადის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის დავით კოპალიანს. როცა სტუმრები ჩამოდიოდნენ ცაგერში იგი ხშრად მე მნიშნავდა თამადად. ომარ ჭაბუკიანმა ლადოობაზე დამნიშნა თამადად და ამ ფაქტმა ჩვენი მხრის და ქუთაისის მასშტაბით მომიტანა პოპულარობა. ავთანდილ ყურაშვილმა თავისი ვაჟის ქორწილში მთხოვა თამადობა და ქუთაისელმა მწერლებმა მომანიჭეს „საერთაშორისო კლასის თამადის წოდება,“ (რა თქმა უნდა სიმბოლურად, სინამდვილეში ასეთი წოდება არ არსებობს) და ბროლის ყანწი მაჩუქეს. სერგო ხაბულიანი ხომ ყველა სუფრაზე მე მნიშნავს თამადად, რითაც ცნობილი გავხდი საპარლამენტო თუ სამთავრობო წრეებში. ელგუჯა ბენდელიანმა „გუჯას მუზეუმში“ გამოაკრა ჩემი ფოტოსურათი უზარმაზარი ყანწით, ოპერატორი ჩამოიყვანა ქუთაისიდან, კლიპში გადამიღო, რომელიც იუთუბზე დევს და ბეჭედი დაუსვა ყოველივე ამას.

ჩემთვის სუფრა სტუმარ-მასპინძლობა და თამადობა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თამადობა ნაღდი ქართული ფენომენია და ქართული სუფრა წარმოუდგენელია თამადის გარეშე. კარგ თამადაზე (რომლებიც ლეჩხუმში საკმაოდ არიან) ბევრად არის დამოკიდებული სუფრის სილამაზე და ავკარგიანობა.

***

ვწუხვართ, რომ თქვენს სულიერს ვეხებით, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ყველაზე მძიმე განსაცდელს, რაც ერთადერთი ვაჟის – 14 წლის გივიკოს ტრაგიკული წასვლაა ამ ქვეყნიდან. ამ მოურჩენელ ტკივილს თან ატარებთ, მაგრამ თქვენს მეუღლესთან ერთად, ასე თუ ისე, ფეხზე წამოდექით, საყრდენი საკუთარ თავში იპოვეთ და სულით არ დაცემულხართ. ღმერთმა გაგაძლიეროთ.

თუ რაიმე მიჭირს და თავს ვერ ვაბამ ამ თემაზე საუბარია. გარდაცვლილი ახალგაზრდის სახსოვარის თქმას ძლივს ვახერხებ.

გივიკო 14 წლის უკვე ჩემს სიმაღლე იყო. მისმა ტრაგედიამ მიწასთან გაგვასწორა, მაგრამ ჩემი სოფლელების, მეგობრების, კოლეგების და საერთოდ კეთილი ადამიანების წყალობით ფეხზე დავდექით. მე და ჩემმა მეუღლემ ვიზრუნეთ ერთმანეთის გადარჩენისათვის. დიდი როლი ითამაშა ჩვენმა შვილმა მირანდამ.

***

და ბოლოს: რას ეტყოდით ახალგაზრდებს.

პირველ რიგში ზრდილობა ცხოვრების ნორმად უნდა აქციონ, არ შეცდნენ პროფესიის არჩევაში, თორემ შეიძლება უმაღლესი განათლება მიიღონ, მაგრამ საკუთარი ადგილი ვერ მონახონ ცხოვრებაში. რა ხელობასაც აირჩევ ის უნდა გიყვარდეს. რუსთაველი გენია იყო. აი რას გვასწავლის ის სულმნათი: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდეს.“

მე მჯერა რომ კარგი თაობა მოდის და ჯეროვნად მოუვლიან მამულს, ენას და სარწმუნოებას. წარმატება ყველა ახალგაზრდას.

გმადლობთ!

თამარ დავითულიანი, ზევინარ ძნელაძე



27 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესია ჯვართაძაღლების დღესასწაულს აღნიშნავს.

ჯვრის ძალა გეწეოდეთ და გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

* * *

სოფელ ჭალისთავში იწყება სასაფლაოს მიმდებარე გზის რეაბილიტაცია და ჩიხში რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 64 284 ლარი.

სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს

* * *

ტენდერი გამოცხადდა სოფელ უსახელოში სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა სასოფლო გზის რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე.

სამუშაოების შესყიდვის სატენდერო ღირებულებაა 100 000 ლარი.

რეაბილიტირებული საავტომობილო გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ჩქუმში დასრულდა მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

6 კილომეტრიან გზაზე მოეწყო ცემენტო-ბეტონის საფარი.

სამუშაოების ღირებულებაა 2 999 000 ლარი. სამუშაოებს აწარმოებდა შ.პ.ს „ენ-კო“.

პროექტი ტურისტული არეალის გაფართოებას ითვალისწინებს

რამდენიმე წლის წინ, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვირიშის ჩანჩქერზე მოეწყო ტურისტული გადმოსახედი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ტურისტების ვიზიტი ლეჩუმში და კონკრეტულად, სოფელ ღვირიშში.

აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ გაჩნდა მოთხოვნილება ტურისტული არეალის გაფართოებისა. გამოცხადებულია ტენდერი (სატენდერო თანხა 404 408.00 ლარი), რომელიც ითვალისწინებს ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაციას, მოსასვენებელი სივრცეების, განათების, გადასახედის მოწყობას, რაც კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს და საინტერესოს გახდის აღნიშნულ ტერიტორიას. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ღვირიშის ჩანჩქერს გაცილებით მეტი ვიზიტორი ეყოლება, რაც საბოლოო ჯამში, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.



ძვირადღირებული საჩუქარი ცაგერის სპორტულ კომპლექსს

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის კეთილი ნებით და მხარდაჭერით ცაგერის მუნიციპალიტეტს საჩუქარად გადმოეცა ძვირად ღირებული საერთაშორისო სტანდარტების იატაკის საფარი (პოლივინილი), რომელიც მოეწყობა ცაგერის მრავალპროფილიან სპორტულ კომპლექსში.

მუნიციპალიტეტისა და ფრენბურთის კლუბი „ცაგერის“ ორგანიზებით მოხდა აღნიშნული ინვენტარის ჩამოტანა ცაგერში და უახლოეს მომავალში განთავსდება სპორტულ დარბაზში, რაც არსებითად გააუმჯობესებს აღნიშნულ სპორტულ ობიექტზე სპორტული შეჯიბრებების, შეკრებების ჩატარებას და სავარჯიშო პროცესის წარმართვის პირობებს ასევე, შესაძლებელს გახდის საქართველოს ჩემპიონატების და საერთაშორისო ტურნირების მაღალ დონეზე ჩატარებას.

დიდი მადლობა სპორტის სამინისტროს, ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას გამოჩენილი ყურადღებისა და გაწეული დახმარებისთვის!

გაზეთი აიწყო, დაჯაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაჟური ჯილაძის მიერ.
მის: ქ. ქუთაისი, აჯ. წერეთლის ქ. №186

სარედაქციო ჯოლეგია:
თამარ დავითულიანი, მზევინარ ძნელაძე,
ეკა ბენდელიანი, ირმა მუშკუდიანი

რედაქციის მისამართია:
ცაგერი, რუსთაველის ქ. №61
ტელ: 551 50 81 50; 598 95 91 11